



# საოკუპაციო ხაზთან მდებარე სოფლების საჭიროებები

2020 წელი

## შესავალი

2020 წლის განმავლობაში, დემოკრატიის კვლევის ინსტიტუტმა საოკუპაციო ხაზთან მდებარე სოფლების მაცხოვრებლების პრობლემები და საჭიროებები გამოავლინა. DRI-ის მკვლევარები გორის, ქარელის, კასპის, დუშეთის, წალენჯიხის და ზუგდიდის მუნიციპალიტეტების 24 სოფელში და დევნილთა ორ დასახლებაში იმყოფებოდნენ. მონახულეულ სოფლებში მოსახლეობა ძირითადად საპენსიო ასაკისაა.

მონიტორინგის შედეგად გამოვლინდა გადაადგილების თავისუფლების, უსაფრთხოების, დასახლებულ პუნქტებში შესვლის დაუსაბუთებელი აკრძალვის და მუდმივი კონტროლის შემთხვევები; სახეზეა სოციალურ-ეკონომიკური და ინფრასტრუქტურული პრობლემები. ბევრ დასახლებაში არ ფუნქციონირებს სკოლამდელი დაწესებულებები და სკოლები; მონახულეული სოფლების ნაწილში დაზიანებულია ან არ არსებობს სამანქანო გზები; სოფლის მოსახლეობას აწუხებს სარწყავი, და სასმელი წყლის პრობლემა; სოფლების უმრავლესობაში არ ფუნქციონირებს აფთიაქი და სამედიცინო პუნქტები. არაერთ დასახლებულ პუნქტს არ აქვს სასურსათო მაღაზია.

შედეგად, საოკუპაციო ხაზთან არსებულ სოფლებში მიგრაციის მაჩვენებელი მაღალია. სოფლებს ტოვებენ ახალგაზრდები.

## გორის მუნიციპალიტეტი

გორის მუნიციპალიტეტის ტირძნისის თემის სოფელი **ერგნეთი** საოკუპაციო გამყოფ ხაზთან მდებარეობს. ერგნეთი ესაზღვრება ტერიტორიას, რომელსაც დღეს რუსი სამხედროები აკონტროლებენ. სოფელში შესასვლელ გზაზე განთავსებულია ქართული პოლიციის საგუშაგო, თუმცა სოფელში შესვლა და გადაადგილება თავისუფლად შეესაძლებელი. 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომის დროს, ერგნეთმა უზარმაზარი ზარალი განიცადა, თითქმის სრულიად განადგურდა სოფლის მატერიალური ქონება. 2008 წლის ომის შემდეგ, ერგნეთში ახალი სკოლა აშენდა, შესაბამისი გარემოთი და სათანადო ინვენტარით აღჭურვილი. მიუხედავად იმისა, რომ სოფელში სკოლამდელი აღზრდის ასაკის ბევრი ბავშვია, სოფელს საბავშვო ბაღი არ აქვს. ერგნეთში დღემდე არ არის აფთიაქი. სოფელს არ აქვს მოსახლეობის თავშეყრის ადგილი, გასართობი ცენტრი, სპორტული მოედანი ან ბიბლიოთეკა, რასაც ადგილობრივი ახალგაზრდობა განსაკუთრებით განიცდის. ერგნეთში ფუნქციონირებს ოკუპაციის მუზეუმი, რომელიც ომით დაზიანებული საცხოვრებელი სახლის პირველ სართულზეა გახსნილი.

### მერეთის თემი - ზარდიაანთკარი და გუგუტიაანთკარი

ორივე დასახლებაში ადგილი აქვს მოსახლეობის აქტიურ მიგრაციას. მიზეზი უსაფრთხოებასთან ერთად, სოციალურ-ეკონომიკური პრობლემებია. **ზარდიაანთკარზე** კონტროლი ქართულმა მხარემ 2012 წელს აღადგინა, სოფელში პოლიციის საგუშაგო ფუნქციონირებს. შესვლა მხოლოდ ქართული საგუშაგოს გავლის შემდეგაა შესაძლებელი,

## დემოკრატიის კვლევის ინსტიტუტი Democracy Research Institute (DRI)

სადაც ქართველი სამართალდამცველები მგზავრებს დოკუმენტებს უმოწმებენ, ვიზიტის მიზანს იკვლევენ და უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად, პოლიციის ესკორტს აყოლებენ. ომიდან 4 წლის მერე დაბრუნებულ მოსახლეობას, დაზიანებული სახლები და ე.წ. „ბორდერიზაციის“ შედეგად დაკარგული საძოვრები დახვდა. შიშის და უპერსპექტივობის გამო ახალგაზრდები ზარდიაანთკარს ტოვებენ. სოფელს ერთი სკოლის მოსწავლე და ორი სტუდენტი ჰყავს.

ომის შედეგად მიყენებული ზარალის ანაზღაურებას ითხოვენ სოფელ **გუგუტიაანთკარშიც**, სადაც მოსახლეობამ ე.წ. „ბორდერიზაციის“ გამო საძოვრები და გაშენებული ბალები დაკარგა. გუგუტიაანთკარში დაბრუნებულმა მოსახლეობამ ამ დრომდე ვერ მოახერხა ტყვიებისგან დაზიანებული სახურავების შეცვლა. გუგუტიაანთკარს საბავშვო ბაღი არ აქვს. დაწყებითი სკოლის შენობაში, რომელიც 2008 წლის ომამდე ფუნქციონირებდა, ომის შედეგად დაზარალებული ოჯახი ცხოვრობს. შესაბამისად, სკოლის მოსწავლეებს სოფელ მერეთში მდებარე სკოლაში უწევთ სიარული. მართალია, სკოლის მოსწავლეებს ტრანსპორტი ემსახურება, თუმცა მოსახლეობა გუგუტიაანთკარის დაწყებითი სკოლის ფუნქციონირების აღდგენას ითხოვს.

**ყარაფილა** ესაზღვრება სოფელ ორჭოსანს, რომელსაც დღეს რუსი სამხედროები აკონტროლებენ. ორჭოსანში განთავსებულია რუსული სამხედრო ბაზაც. საგზაო მონაკვეთზე ქართული პოლიციის საგუშაგო არ დგას. სოფელსა და ე.წ. „საზღვარს“ შორის არც მავთულხლართია გავლებული. სოფელს არ აქვს აფთიაქი და ამბულატორია. თუ სამედიცინო დახმარება დასჭირდათ, სოფლის მაცხოვრებლებს მომსახურების მისაღებად დაახლოებით ხუთი კილომეტრის გავლა მოუწევთ. ყარაფილაში არც სასურსათო მაღაზიაა. პირველადი მოხმარების საგნების და პროდუქტების საყიდლად, ყარაფილელები მეზობელ სოფლებში - სარიბარსა და ზადიაანთკარში მიდიან. მოსახლეობის თქმით, სოფელს დაწყებითი სკოლა არ აქვს. თუმცა მოსწავლეების კოდის წყაროს სოფლის სკოლაში ტარებას სახელმწიფოს მიერ გამოყოფილი ტრანსპორტი უზრუნველყოფს. ისევე, როგორც ყველგან, უმუშევრობა სოფლის მთავარი პრობლემაა. სოფელში 18 ახალგაზრდაა, თუმცა ამჟამად არც ერთი მათგანი არ არის დასაქმებული. სოფელში წლებია არ დადის სამარშრუტო ტრანსპორტი, რომელიც მოსახლეობის თუნდაც კასპში გადაადგილებას უზრუნველყოფდა.

რამდენიმე შემთხვევა იყო, როდესაც შებინდებულზე, ადამიანები ოკუპირებულ ტერიტორიაზე გადაიყვანეს. ფიქრობენ, რომ უკანონო დაკავებების პრევენციის და მოსახლეობაში დაცულობის განცდის გასაძლიერებლად, გარე განათების დამონტაჟება აუცილებელია.

წლებია, სოფლის ძირითად გასაჭირს სასმელი და სარწყავი წყლის პრობლემა წარმოადგენს. თუმცა, ვირუსული ინფექციის გავრცელების შემდეგ, პრობლემა განსაკუთრებით მწვავედ დადგა. სოფელში სასმელი წყალი მხოლოდ ერთ უბანშია დამონტაჟებული და სოფელს არყოფნის. სასმელი წყლის ხარისხი დაბალია, ლაბორატორიული შემოწმება აუცილებელია.

**სოფელი ბერშუეთი** ესაზღვრება ტერიტორიას, რომელსაც დღეს რუსი სამხედროები აკონტროლებენ. საოკუპაციო ზოლთან მავთულხლართების ნაცვლად ტერიტორია დიდი ზომის ჯვრითაა მონიშნული. სოფელში შესვლა და გადაადგილება თავისუფლადაა შესაძლებელი. ამ სოფლის საგზაო მონაკვეთზე ქართული პოლიციის საგუშაგო არ არის განთავსებული. მას შემდეგ, რაც რუსმა სამხედროებმა სოფლის განაპირას, სასაფლაოს

## დემოკრატიის კვლევის ინსტიტუტი Democracy Research Institute (DRI)

ზემოთ, ბანერი დააყენეს, მოსახლეობას დაუცველობის განცდა გაუმძაფრდა. ადგილობრივი მაცხოვრებლების თქმით, აღნიშნულ ტერიტორიასთან მიახლოება რისკთანაა დაკავშირებული. ოკუპაციის გამო, სოფელმა სამოვრები დაკარგა. მიწის ნაკვეთების უმეტესობა, რომელსაც ბერშუეთელები სამოვრად იყენებდნენ, ე.წ. საოკუპაციო ზოლის მეორე მხარესაა. ოკუპირებულ ტერიტორიაზე აღმოჩნდა ღვთისმშობლის სახელობის ეკლესიაც, რასაც მოსახლეობა განსაკუთრებით განიცდის. გამოკითხული ადამიანები სოფლის ძირითად გასაჭირად სასმელად უვარგის წყალს ასახელებენ. წყალი, რომელიც მიეწოდებათ, დასალევად უვარგისია, რაც შემოწმებითაც დადასტურდა. პრობლემები აქვთ სარწყავ წყალთან დაკავშირებითაც, რაც ხელს უშლით ერთწლიანი და მრავალწლიანი სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოყვანაში. ვიზიტის დროს სოფლის მაცხოვრებლებმა დაუმუშავებელი მიწები გვაჩვენეს, რაც, მათი განცხადებით, სარწყავი წყლის არქონას უკავშირდება. წლებია, პრობლემად რჩება სოფლის როგორც ცენტრალური, ისე შიდა გზების გაუმართაობა. სოფელი არ სარგებლობს მაღალმთიანი დასახლების სტატუსით და შესაბამისი შეღავათებით. მოსახლეობა ეკონომიურად შეჭირვებულია. ვესაუბრეთ, ხუთ მარტოხელა პენსიონერს, რომლებსაც ყოფით პრობლემებზე საუბარი ერიდებათ, აღმოჩნდა, რომ გაზი და ელექტრო ენერჯია არ აქვთ. მიუხედავად დენადობისა, სოფელში რჩება ახალგაზრდობა, რომელთაც აქვთ სურვილი, სოფელს სტადიონი და პატარა სკვერი ჰქონდეთ. რამდენიმე მათგანი კი სოფლის ისტორიული კომპის რესტავრაციის და გადარჩენის აუცილებლობაზეც გვესაუბრა.

სოფელი **კირბალი** ესაზღვრება ტერიტორიას, რომელსაც დღეს რუსი სამხედროები აკონტროლებენ. სოფელში შესვლა და გადაადგილება თავისუფლადაა შესაძლებელი. ზერტი-კირბალის საგზაო მონაკვეთზე ქართული პოლიციის საგუმაგო არ არის განთავსებული. 2013 წლიდან დღემდე, რუსმა სამხედროებმა სოფლის განაპირას ლენტები გაჭიმეს და ბანერები დააყენეს, რაც მოსახლეობას დაუცველობის განცდას უმძაფრებს. ადგილობრივი მაცხოვრებლების განცხადებით, აღნიშნულ ტერიტორიასთან მიახლოება რისკთანაა დაკავშირებული.

სოფელში ჩვენს მიერ გამოკითხული ადამიანები სასმელი წყლის ხარისხზე ჩივიან, რომელიც დღეგამომავებით და ერთი საათით მიეწოდებათ. მათი განცხადებით, წყალი სასმელად უვარგისია, რაც წყლის სინჯების ლაბორატორიული შემოწმებით დასტურდება. ადგილობრივებს სურთ, რომ წყლის ვარგისიანობა სახელმწიფომაც შეამოწმოს.

მოსახლეობა მეორე მნიშვნელოვან პრობლემად სანიაღვრე არხების გაუმართაობას თვლის. უხვი ნალექის და უამინდობის დროს სოფლის სანიაღვრე არხის მოუწესრიგებლობა ბავშვებს სკოლაში სიარულში უშლის ხელს და გლეხებს ბაღების მორწყვასთან დაკავშირებით პრობლემას უქმნის. მოსახლეობა იმასაც აღნიშნავს, რომ მცირე შემოსავლის გამო, ბაღების სრულყოფილი დამუშავება უჭირთ.

სოფელში ოჯახების უმრავლესობა მსხვილფეხა რქოსანი საქონელი არ ჰყავს. ადგილობრივების გადმოცემით, 2013 წლის შემდეგ, მცოცავი ოკუპაციის დაწყების გამო, სოფელმა 62 ჰექტარი მიწა, მათ შორის, სამოვრებიც დაკარგა. ამბობენ, რომ მარტო გასულ წელს 18 სული საქონელი დაკარგეს ე.წ. საზღვრისპირა ტერიტორიაზე, საიდანაც მხოლოდ 6 სულის თანხა აუნაზღაურდათ.

## დემოკრატიის კვლევის ინსტიტუტი Democracy Research Institute (DRI)

სოფლის მოსახლეობა განსაკუთრებულად სასაფლაოს ნაწილის ე.წ. საზღვრის მეორე მხარეს მოქცევას განიცდის. ხელი ადგილობრივი სალოცავების მონახულებაშიც ეწევათ. ლომისის წმინდა გიორგის ეკლესიის ნიში, რომელიც სოფლის მიმდებარე ტერიტორიაზე, მთაზეა აშენებული, ოკუპირებულ ზონაში მოექცა და შესაბამისად, სოფლის მოსახლეობას სალოცავში სიარულის უფლება შეეზღუდა. თუ 2018 წლამდე ჰქონდათ შესაძლებლობა, ეკლესიის მოსალოცად დღესასწაულის დღეს მაინც გასულიყვნენ, 2019 წელს ეს შესაძლებლობაც წაერთვათ. რაც შეეხება ღვთისმშობლის ეკლესიას, რომელიც საქართველოს ხელისუფლების მიერ კონტროლირებად ტერიტორიაზეა, ადგილობრივებს მასთან მიახლოება უსაფრთხოების მოსაზრების გამო პრაქტიკულად შეზღუდული აქვთ, რადგან ეკლესიას ე.წ. საოკუპაციო ზოლთან მხოლოდ 100 მეტრი აშორებს.

სოფელში ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის (9 კლასიანი) სკოლა ფუნქციონირებს, მისი დამთავრების შემდეგ, მოსწავლეები სწავლას ზერტის საჯარო სკოლაში აგრძელებენ. ამჟამად, სოფელს ცხრა კლასს ზემოთ მხოლოდ 4 მოსწავლე ჰყავს.

სოფლის მოსახლეობა ძირითადად უკიდურესად შეჭირვებულია და უმუშევრობის პრობლემაზე ჩივის. გამოთქვამენ სურვილს, ახალგაზრდები მაინც დასაქმდნენ კირბალ-ბერშუეთის გზის მონაკვეთის სარეაბილიტაციო სამუშაოებზე, რომელიც ამჟამად მიმდინარეობს.

სოფელი **ციცაგიაანთკარი** ოკუპირებულ ტერიტორიას ესაზღვრება. სოფლის შესასვლელში და საოკუპაციო ხაზის მიმდებარედ ქართული პოლიციის საგუშაგოები არ არის. ადგილობრივების გადმოცემით, სოფელი განსაკუთრებულად განიცდის სარწყავი წყლის პრობლემას. რაც შეეხება სასმელ წყალს, სამი უბნიდან მხოლოდ ერთ უბანს არ მიეწოდება. სოფლის მაცხოვრებლები ამბულატორიის და აფთიაქის უქონლობაზეც წუხან. სოფელს არ აქვს საბავშვო ბაღი და დაწყებითი სკოლაც კი, რის გამოც ბავშვები მეზობელ სოფელ ახრისში სახელმწიფოს მიერ გამოყოფილი ტრანსპორტით დაჰყავთ. ჩამოთვლილი პრობლემების გამო სოფელი იცლება. ადგილობრივების თქმით, სოფელში 60-70 კომლი დარჩა.

## ქარელის მუნიციპალიტეტი

ქარელის მუნიციპალიტეტის სოფელი **დირბი** სოფელ დვანისა და ტახტისძირის მოსაზღვრედ მდებარეობს. ადგილობრივები ძირითადად მოსავლის რეალიზაციის პრობლემასა და ახალგაზრდების დაუსაქმებლობაზე საუბრობენ.

სოფელ **დვანში** პოლიციის საგუშაგოსთან გაგვაჩერეს და სოფელში შესვლის შესაძლებლობა არ მოგვცეს. მიუხედავად იმისა, რომ შინაგან საქმეთა სამინისტრო წინასწარ იყო ინფორმირებული დაგეგმილი ვიზიტის შესახებ.

## კასპის მუნიციპალიტეტი

კასპის მუნიციპალიტეტის ქვემო ჭალის და კოდისწყაროს თემის, ეთნიკურად ოსი მოსახლეობით დასახლებულ სოფლები - ვაკე, სარიბარი და ზადიანთკარი.

**ვაკე** - დასახლებაში სანიაღვრე არხები გაჰყავთ და მიმდინარეობს შიდა გზების მოწყობა. გამოკითხული რესპონდენტები საუბრობენ, რომ დაახლოებით 2 წლის წინ სოფელში სასმელი წყლის პრობლემის გადაჭრისთვის სამუშაოები დაიწყო, თუმცა, სოფელი ისევ დგას როგორც სასმელი, ისე სარწყავი წყლის პრობლემის წინაშე. ადგილობრივი მოსახლეობა წუხს, რომ სასმელი წყალი ხშირი წყვეტით და არასაკმარისი რაოდენობით მიეწოდებათ. გამოკითხული ცხრა რესპონდენტიდან, უსაფრთხოების თვალსაზრისით შიშზე არავინ საუბრობს. ამბობენ, რომ იციან, სად გადის საოკუპაციო ხაზი და, შესაბამისად, მას არ კვეთენ. სოფელი მაღალმთიანი დასახლების სტატუსით სარგებლობს.

**ზადიანთკარში** შესასვლელად აუცილებელია ყარაფილას პოლიციის გამშვები პუნქტის გავლა. საბუთების შემოწმების პროცედურების გავლის შემდეგ, პოლიციამ უსაფრთხოების ზომებიდან გამომდინარე, პოლიციის მანქანა გამოგვაცოლა. სოფელში არაერთი მიტოვებული სახლია. მათი ნაწილი თითქმის დაშლილია. სოფლის გზაზე, რომელიც არ არის მოასფალტებული, ადგილ-ადგილ წაქცეულია განათების ბოძები. მავთულხლართები ზადიანთკარის მინდვრებთანაა გავლებული. სოფლიდან რამდენიმე მეტრშია რუსეთის ფედერაციის ე.წ. სასაზღვრო დანიშნულების ორჭოსანის სამხედრო ბაზა. გამოკითხული სამი რესპონდენტი დასახლებაში არსებულ პრობლემებზე არ საუბრობს, უნდობლობას იჩენს და გვთხოვს, საუბარი არ ჩავიწეროთ. განმარტავენ, რომ მართალია, სოფელში არის სასმელი წყლის პრობლემა, მაგრამ უკვე „კეთდება“. გვრჩება შთაბეჭდილება, რომ არ აქვთ გააზრებული/შეფასებული ოკუპაციასთან დაკავშირებული პრობლემა. რესპონდენტები, რომელთაც ვესაუბრეთ, მათ სიახლოვეს განთავსებული მავთულხლართების ფონზე განმარტავენ, რომ არ აქვთ შიშის განცდა რუსეთის ფედერაციის სამხედროების მიმართ და „ცხოვრობენ მშვიდობიანად“. „საუბრობენ, რომ არაერთხელ გადავიდა მათი საქონელი ე.წ. „საზღვრის“ იქით, თუმცა, უკან დაუბრუნეს. ასევე ხაზგასმით ამბობენ, რომ მათი სოფლიდან რუსეთის ფედერაციის სამხედროებს არავინ დაუკავებიათ.

კოდისწყაროს თემში გამყოფ ხაზთან მდებარე სოფელ **სარიბარში** 19 ადამიანი ცხოვრობს. ზადიანთკარის მსგავსად, აქაც თითქმის ყოველი მეორე სახლი მიტოვებულია. სოფლამდე მიმავალი გზა არ არის დაგებული, დასახლებას აქვს სასმელი წყლის პრობლემაც. ადგილზე არსებულ სირთულეებზე ოთხ ადგილობრივთან მოხერხდა საუბარი. ოთხივემ განაცხადა, რომ სამუშაოები მალე დაიწყება, ელიან სასმელი წყლის საკითხის მოგვარებას და გზის დაგებას. ადგილობრივებს სურვილი აქვთ სოფელში მოეწყოს მცირე საბავშვო ატრაქციონი. აღნიშნულ დასახლებაშიც სახეზეა სიღარიბე, უწყლოობა, გზის პრობლემა. ადგილობრივები ცდილობენ, თავი აარიდონ კითხვებს. გვიხსნიან, რომ პრობლემებზე საუბრით არაფერი მოგვარდება და პირიქით, ახალ პრობლემას გაიჩენენ.

## დემოკრატიის კვლევის ინსტიტუტი Democracy Research Institute (DRI)

**თვაურები** კასპის მუნიციპალიტეტში, ლამისყანის თემში, მდინარე ქსნის მარჯვენა ნაპირზე მდებარეობს. სოფელი კასპიდან 18 კილომეტრითაა დაშორებული. თვაურები ესაზღვრება ტერიტორიას, რომელსაც ამ დროისთვის რუსი მესაზღვრეები აკონტროლებენ. უსაფრთხოების ზომებიდან გამომდინარე, აქ მოხვედრა მხოლოდ ქართული პოლიციის საგუშაგოს გავლითაა შესაძლებელი, რომელიც სოფლის დასაწყისში მდებარეობს. სოფელში 40 კომლია დარჩენილი, აქედან, დიდი ნაწილი საპენსიო ასაკისაა. სოფელში სკოლა და საბავშვო ბაღი არ ფუნქციონირებს. სოფელს აქვს ამბულატორია, თუმცა არ გააჩნია აფთიაქი და სასურსათო მაღაზია. ლამისყანაში პირველადი მოხმარების საგნების და პროდუქტების შესაძენად ადამიანებს დაახლოებით 4 კილომეტრის გავლა უწევთ. ადგილობრივების გადმოცემით, სოფელმა ომის შემდეგ სამოვრები დაკარგა. მავთულხლართებთან ახლოსმდებარე მიწებს კი უსაფრთხოების გარანტიების არქონის გამო ვერ ამუშავებენ. სოფლის მაცხოვრებლები პრაქტიკულად ერთადერთ შემოსავალს ხეხილის ბაღებიდან იღებენ. ადგილობრივები აცხადებენ, რომ 2008 წლის ომამდე ახალგაზრდის ბაზარზე პროდუქტი გაჰქონდათ, რაც ახლა შეუძლებელია. გამოკითხულთა უმეტესობა აღნიშნავს, რომ მავთულხლართებმა ისინი ახლო ნათესავებს ჩამოაცილა, რასაც განსაკუთრებულად განიცდიან. სოფელში მოსახლეობა შიდა გზების გაუმართაობას და სარწყავი ჭების დაბინძურებას უჩივის, რაც სასოფლო-სამეურნეო საქმიანობას მნიშვნელოვნად აფერხებს.

## წალენჯიხის მუნიციპალიტეტი

**ფახულანის** თემი, რომელიც ოთხ სოფელს (**ფახულანი, ქალაღალი, წყოუში, ჭველე**) აერთიანებს, **წალენჯიხის** მუნიციპალიტეტში, მდინარე ენგურის მარჯვენა სანაპიროზე მდებარეობს. აქ მოხვედრა მხოლოდ ქართული საგუშაგოს გავლითაა შესაძლებელი, სადაც სამართალდამცავები მგზავრთა დოკუმენტაციას ამოწმებენ, ვიზიტის მიზანს აზუსტებენ და შემსვლელთა საიდენტიფიკაციო დოკუმენტების ასლს იტოვებენ.

სამართალდამცველების სიფრთხილეს საფუძველი აქვს. მიმდინარე წლის მაისში, რუსმა სამხედროებმა **ფახულანი-საბერიოს** შორის არსებული მავთულხლართების განახლება დაიწყეს - ძველი, დაზიანებული ბომბები ახლით შეცვალეს და მავთულხლართები გამოცვალეს. შეუიარაღებელი თვალისთვისაც ადვილი შესამჩნევია გამყოფი ზოლის პერიმეტრზე დამონტაჟებული სათვალთვალო კამერები. დასახლების ბოლოს, **საბერიო-ფახულანის** ე.წ. საკონტროლო-გამშვები პუნქტი მდებარეობს. პანდემიის საბაბით დაწესებული შეზღუდვების ამოქმედებამდე, ამ პუნქტის გავლით, ყოველდღიურად ასობით ადამიანს ეძლეოდა საქართველოს დანარჩენ ტერიტორიაზე გადაადგილების შესაძლებლობა. თემის მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა მძიმეა. სახნავ-სათესი მიწების დიდი ნაწილი ე.წ. „ბორდერიზაციის“ შედეგად დაიკარგა. აქ მაცხოვრებლების შემოსავლის ძირითად წყაროს თხილი წარმოადგენს. თემს არ გააჩნია გაზომარაგების ქსელი, რის გამოც მოსახლეობა ზამთრის სეზონზე შეშით თბება. ფახულანში, როგორც სასმელი, ასევე, სარწყავი წყლის მუდმივი პრობლემაა. მართალია, დასახლებაში 5-6 მაღაზიაა, მაგრამ არაა აფთიაქი. გვითხრეს, რომ ყოველ დღე ელიან ახალი ამბულატორიის გახსნას, რომელიც, მართალია, აშენდა, მაგრამ დღემდე დაკეტილია. ფახულანის მოსახლეობა განსაკუთრებულად

## დემოკრატიის კვლევის ინსტიტუტი Democracy Research Institute (DRI)

სასაფლაოს ნაწილის ე.წ. საზღვრის მეორე მხარეს მოქცევას განიციდის. „საზღვრის“ სიახლოვიდან კარგად ჩანს, უშუალოდ გამყოფ ხაზს მიღმა მოქცეული საფლავი, რომელიც „ვიზიტორებისგან დასაცავად“, რკინის ჯაჭვით და ბოქლომითაა დაკეტილი. კითხვაზე, რის შეცვლას სთხოვენ ადგილობრივ ან ცენტრალურ ხელისუფლებას, გამოკითხულებმა სოფლის სკოლის მიმდებარე ტერიტორიაზე სიჩქარის შემზღვევადი ბარიერის („მწოლიარე პოლიციელის“) განთავსებაზე შუამდგომლობა გვთხოვეს.

სოფელი **ლია** წალენჯიხის მუნიციპალიტეტში, ზუგდიდი-ჯვრის საავტომობილო და სარკინიგზო გზის გასწვრივ, მდინარე ენგურის მარცხენა სანაპიროზე მდებარეობს. სოფელი ესაზღვრება ტერიტორიას, რომელსაც ამჟამად რუსი მესაზღვრეები აკონტროლებენ. სოფელს არ აქვს გაზომომარაგება. მოსახლეობის შემოსავლის მთავარი წყარო თხილია. სასოფლო-სამეურნეო მიწის რეგისტრაციის პრობლემები აქვთ, მოსახლეობის ნაწილი, რომელთაც მიწა დარეგისტრირებული არ აქვს, სასოფლო-სამეურნეო საქმიანობის ხელშემწყობი სახელმწიფო პროგრამების ვაუჩერებს ვერ იღებს.

### ზუგდიდის მუნიციპალიტეტი

**ტყაია** - მუნიციპალიტეტში, მდინარე ენგურის მარცხენა სანაპიროზე, ზღვის დონიდან 125 მეტრზე მდებარეობს. სოფელი აფხაზეთის ოკუპირებულ ტერიტორიას ესაზღვრება. სოფელში შესვლა თავისუფლადაა შესაძლებელი. ადამიანებმა სოფლის ძირითად გასაჭირად სარწყავი წყლის არასტაბილური მიწოდება დაასახელეს. მათი განცხადებით, ზაფხულში მაღალი ტემპერატურის გამო სარწყავი არხი შრება, რაც ხელს უშლის სასოფლო-სამეურნეო საქმიანობის გამართულ წარმოებას. სოფელს არ გააჩნია ავთიაქი და ამბულატორია. მაღალია ახალგაზრდების მიგრაცია.

სოფელი **რიყე** ზუგდიდის მუნიციპალიტეტში, ზუგდიდის ცენტრიდან 8 კილო მეტრში მდებარეობს. ესაზღვრება ტერიტორიას, რომელსაც ამჟამად რუსი მესაზღვრეები აკონტროლებენ. სოფელში გადაადგილება თავისუფლადაა შესაძლებელი. მოსახლეობა ძირითად პრობლემად უმუშევრობას და ახალგაზრდების მაღალ გადინებას ასახელებს.

სოფელი **ხურჩა** ზუგდიდის მუნიციპალიტეტში, ზუგდიდიდან 16 კილომეტრში, მდინარე ენგურის მარჯვენა მხარეს მდებარეობს. სოფლის გეოგრაფიული საზღვარი მდინარე ხურჩის წყლის მიღმა მდებარეობს, თუმცა, ადგილობრივებს მდინარის გადაკვეთის შესაძლებლობა წართმეული აქვთ. როგორც სოფლის მაცხოვრებლებმა გვითხრეს, რუსი სამხედროები ე.წ. სასაზღვრო ზოლს მკაცრად აკონტროლებენ - „თუ ადრე 2-3-ჯერ დადიოდნენ, ახლა ყოველ ნახევარ საათში ერთხელ დადიან. სოფელში შესვლა ქართული პოლიციის საგუშაგოს გავლის შემდეგაა შესაძლებელი, სადაც სამართალდამცავები მგზავრების დოკუმენტაციას ამოწმებენ და აზუსტებენ ვიზიტის მიზანს. საგუშაგოს გავლის შემდეგ, სოფელში გადაადგილება თავისუფლად არის შესაძლებელი. დაახლოებით 38 ოჯახი კვლავ უშედეგოდ ითხოვს 1993-1998 და 2008 წლებში საომარი მოქმედებების შედეგად მიყენებული ზიანის სრულყოფილად ანაზღაურებას. ოკუპაციის შედეგად სოფელმა სახნავ-სათესი მიწები და საძოვრები დაკარგა, რის გამოც მოსახლეობა სასოფლო-სამეურნეო საქმიანობას პრაქტიკულად ვერ ახორციელებს. სასკოლო ასაკის ბავშვები კი სოფელ ნაბაკევიში მდებარე საშუალო სკოლაში დადიან. ხურჩაში



## დემოკრატიის კვლევის ინსტიტუტი Democracy Research Institute (DRI)

მრავალი წელია დგას ამბულატორიის შენობა, რომელიც არ ფუნქციონირებს. სოფელში არ არის ექიმი და მხოლოდ ექთნის იმედად არიან. **ხურჩა-ნაბაკევის** ე.წ. გამშვები პუნქტის ჩაკეტვამ სოფელი პრაქტიკულად სრულ იზოლაციაში მოაქცია და გააჩერა. დაიხურა ადგილობრივი მცირე ბიზნესი, კაფე და სწრაფი კვების ობიექტი, უმუშევრად დარჩა დაახლოებით 40-მდე ტაქსის მძღოლი. ადგილობრივები სოფელში უპერსპექტივო გარემოზე საუბრობენ და სინანულით აღნიშნავენ, რომ ცენტრალურმა ხელისუფლებამ მათ ალტერნატივად არაფერი შესთავაზა.

სოფელი **ორსანტია**, ზუგდიდის მუნიციპალიტეტში, მდინარე ენგურის მარცხენა სანაპიროზე მდებარეობს. სოფელი აფხაზეთის ოკუპირებულ ტერიტორიას ესაზღვრება. ორსანტიაში გადაადგილება თავისუფლად შესაძლებელია. 2017 წლამდე სოფელში ე.წ. ორსანტია-ოტობაიას გამშვები პუნქტი ფუნქციონირებდა. ორსანტიას და ოტობაიას მოსახლეობას მჭიდრო ნათესაური კავშირები აქვთ და გამშვები პუნქტის ჩაკეტვას განსაკუთრებულად განიცდიან. ამის გამო იმატა ე.წ. საზღვრის უკანონოდ კვეთის ფაქტებმა. სოფელში იუსტიციის სამინისტროს სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს საზოგადოებრივი ცენტრი ფუნქციონირებს. ადგილობრივები ყველაზე დიდ პრობლემად უმუშევრობას ასახელებენ.

**შამგონა** საოკუპაციო ხაზთან მდებარე დასახლებაა. აქ, დევნილების ორ კომპაქტურ დასახლებას ვსტუმრობდით. არც ერთი შენობა საცხოვრებელი დანიშნულების არაა. ერთი ყოფილი საბავშვო ბაღია, ხოლო მეორე სოფლის ადმინისტრაციული კატეგორიის ობიექტი - მას „კანტორის“ შენობას უწოდებენ. ადგილობრივების თქმით, დღეს ე.წ. „კანტორის“ შენობაში 7 ოჯახი ცხოვრობს. შენობაში არ არის შეყვანილი სასმელი წყალი, არ აქვთ ბუნებრივი აირი, არ აქვთ აბაზანა, სარგებლობენ ეზოში არსებული საერთო საპირფარეოთი. ოჯახები, რომლებსაც ვესაუბრეთ, ამბობენ, რომ ამ შენობაში 25 წელზე მეტია ცხოვრობენ და „ბინის რიგში“ დგანან. ბინებით დაკმაყოფილებას ითხოვს ჩვენს მიერ ადგილზე გამოკითხული ყველა რესპონდენტი. განმარტავენ, რომ მათთვის უცნობი და გაუგებარი სქემით ხდება ოჯახებისთვის ქულების მინიჭება. დასძენენ, რომ „დევნილთა სამინისტრო“ ბინებით დაკმაყოფილებას ყოველ საარჩევნო წელს ჰპირდება. ბოლო დაპირების თანახმად, „კანტორის“ შენობაში მცხოვრები ოჯახები 2020 წელს უნდა დააკმაყოფილონ. აფხაზეთიდან დევნილები ამ დაპირებას იმედიანად არ უყურებენ. მეორე დევნილთა ჩასახლება **სოფლის ყოფილი საბავშვო ბაღია**, რომელშიც აფხაზეთიდან დევნილები ცხოვრობენ. მ.გ.-ს ოჯახში ოთხი წევრია, აქედან ერთი არასრულწლოვანია. „ეს ლინოლიუმი რომ ავწიოთ, ნახავთ, რა გვაქვს იატაკის ნაცვლად. ეს შენობა ძალიან ძველია, კედელს წყალი მოუყვება და დალპა ყველაფერი. გვაქვს საერთო გამოყენების საპირფარეო და ვართ ასე, ვწვალობთ. ბინას ვითხოვთ უკვე მერამდენე წელია. ხან ხუთი ქულა მოგვანიჭეს, ხან სამი და ხანაც ექვსი. არ ვიცი, ეს რის მიხედვით“, - გვიყვება სოფელ შამგონას ყოფილ საბავშვო ბაღში მცხოვრები მ.გ. სახელმწიფოსგან ბინით დაკმაყოფილებას წლებია უშედეგოდ ელიან მ.გ., მ.ზ. და ნ.ნ.-ს ოჯახები. ადგილ-ადგილ აყრილი იატაკი, სახურავიდან ჩამოსული წყალი, ნესტი ყველა ოთახში, ხის კარ-ფანჯრები, რომელიც ვერ უმკლავდება ქარს და სიცივეს - ეს აქ, მცხოვრები დევნილების ყოველდღიური, რთულად ასატანი რეალობაა.

## დუშეთის მუნიციპალიტეტი

ოდისი დუშეთის მუნიციპალიტეტში, მჭადიჯვრის თემში მდებარეობს. მიუხედავად იმისა, რომ ოდისი ოკუპირებულ ტერიტორიას ესაზღვრება, სოფელში გადაადგილება თავისუფლად არის შესაძლებელი. სოფლის ბოლოს ქართულ საპოლიციო საგუშაგოსთან ერთად, ე.წ. საკონტროლო-გამშვები პუნქტი „მოსაზრუნი“ მდებარეობს, რომელიც ამჟამად დაკეტილია. სწორედ ამ საკონტროლო-გამშვები პუნქტის გავლით ეძლეოდათ ახალგორელებს საქართველოს ხელისუფლების მიერ კონტროლირებად ტერიტორიაზე გადაადგილების შესაძლებლობა. სოფლის მაცხოვრებლები ყველაზე მეტად უმუშევრობაზე და დასახლებაში ახალგაზრდებისთვის ნაკლებად პერსპექტიულ გარემოზე ჩივიან. ძირითად პრობლემად სასმელ წყალს და მის ხარისხს ასახელებენ. გაუმართავია სოფლის შიდა გზებიც. იმ პრობლემებს შორის, რომელიც მოსახლეობას აწუხებს, ადგილობრივებმა სარიტუალო დარბაზის არ ქონაც დაასახელეს, რომელიც, დაახლოებით 10 წელი აშენდება, თუმცა საბოლოო სახე ჯერ არ აქვს მიღებული. ოდისში არ არის აფთიაქი და მაღაზია. როგორც გვითხრეს, პურის შექმნა რამდენიმე სახლში კერძოდ არის შესაძლებელი. საკვები პროდუქტის ან პირველადი საჭიროების ნივთების შესაძენად, ოდისელებს გვერდით მდებარე სოფელში უწევთ სიარული.